

ლერი ჯიბლაძე

ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელი (რაჭა, ბალყარეთი, დვალეთი)

ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მთის რაჭა¹ გარე სამყაროდან კულტურულად არ იყო მონყვეტილი და მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზე მცხოვრებ მოსახლეობასთან. ეს კავშირურთიერთობები კოლხეთის ამ მხარესა და განსაკუთრებით მეზობელ დიგორიის (მდ. ურუხის სათავეები), ბალყარეთსა (მდ. ჩერეკის ზემო წელი) და ისტორიულ დვალეთში (მდ. არდონის სათავეები) მცხოვრებ მოსახლეობას შორის ძირითადად ხორციელდებოდა ცენტრალური კავკასიონის ქედის უღელტეხილებზე გამავალი საკომუნიკაციო გზების მეშვეობით, სადაც ასეთი გადასასვლელი რამდენიმე იყო [რეხვიაშვილი 1965: 8-9; რეხვიაშვილი 1977: 13-17; ჯიბლაძე და სხვ. 2017: 48].

¹ მთის რაჭა მოიცავდა მდ. რიონის ხეობის სათავეებს, გლოლასა და ჭანჭახის წყლებს შორის არსებულ ტერიტორიას, რომელსაც ეკავა დაახლოებით 640 მ² ფართობი [მაკალათია 1987:P22]. ეს მხარე წარსულში დასავლეთ საქართველოს მთიულეთად იწოდებოდა, რომელიც დაახლოებით VIII ს-ის დასასრულიდან [გობეჯიშვილი 2017: 44], XV-XVI-ის მიჯნამდე სვანებს ეკუთვნოდა [ინგოროყვა 1941: 32-33; ბერძენიშვილი 1966: 24; მუსხელიშვილი 1980: 147; გობეჯიშვილი 2000: 39]. მთის რაჭაში შემავალი სოფლები: ბრილი, ზედქალაქი (ღებისა და გლოლას ცენტრალური უბნები, ზედქალაქის სახელს ატარებდენ) [თოფჩიშვილი 2016: 118], თევრეშო, ღები, შოდა, ჩუეშო, ჭიორა, ბუბა (ნასოფლარი კურორტ შოვთან, მდ. ჭანჭახის ხეობა), გლოლა თავისი ეკლესიებითა და თავდაცვითი ნაგებობებით [ბერძენიშვილი 1966: 24; ბერაძე 1975: 139,143] სვანებმა სისხლის საფასურში გადასცეს რაჭის ფეოდალებს ჯაფარიძეებს, რაც დოკუმენტურად აისახა იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ 1503 წ. მიღებულ სიგელში (წიგნში): „სასისხლო საქმე ბარს ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის. გარდა ამისა ამ სიგელით რაჭველების კუთვნილება გამხდარა მდ. ცხენისწყლის სათავეებში მდებარე სოფ. ხიდარი ორი მონასტრით (ზოგჯერ მთიულეთში შემავალ ტერიტორიად მოიხსენიებენ ხერიასაც) [გობეჯიშვილი 2000: 19]. ამჟამად ღებს ზემოთ მდებარე სოფლები განადგურებულია [რეხვიაშვილი 1977: 24]. სიგელის მიღების თარიღად ასახელებენ სხვადასხვა წლებს: 1434 – მ. ბროსე, ს. მაკალათია, ს. კაკაბაძე; 1493 – ივ. ჯავახიშვილი; პ. ინგოროყვა – 1490-1503 [გობეჯიშვილი 2000: 41-42]. ამჟამად მიღებულია 1503. მთის რაჭაში გულისხმობენ უწერას ზემოთ მდებარე სოფლებსაც [მეტრეველი 2013: 61]. როგორც აღნიშნავენ, რაჭა ისტორიულ წყაროებში X ს-დან მოიხსენიება [ფრუიძე 1986: 8].

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჩრდილო კავკასიასა და კოლხეთის მთიანეთში გავრცელებულ კულტურათა შორის კონტაქტების დამყარებისას ერთ-ერთ დამაკავშირებელი სეგმენტი უნდა ყოფილიყო ცენტრალური კავკასიონის ქედზე არსებული უღელტეხილები (ტაბ. I).

წინმდებარე მოკლე ფორმატის სტატიაში გვინდა შევეხოთ სწორედ ამ უღელტეხილების სახელწოდებების ეტიმოლოგიურ მნიშვნელობასა და როლს ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კონტაქტების დამყარებისას. ასევე მოკლედ შევჩერდებით რაჭის ურთიერთობაზე კოლხეთის ბარის მოსახლეობასთან, რომელიც ძირითადად ხორციელდებოდა მდინარეთა ხეობებში გამავალი საკომუნიკაციო გზების მეშვეობით; ზემო რაჭის სამოსახლოდ ათვისების საკითხებს ბრინჯაოს ხანაში. როგორც შენიშნავენ, ბარს მთა ჭირდებოდა, ხოლო მთას კიდევ ბარი. უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ [ჯავახიშვილი 1930: 316-317]. დიგორიაში² მთის რაჭიდან ორი გზა მიემართებოდა. ერთი სოფ. ჭიორადან მდ. ნონარას ხეობას მიუყვებოდა და ამავე სახელწოდების მთის³, ან იგივე გურძიევცეკის უღელტეხილის (გურძიევცეკი ოსური სახელწოდებაა, რაც ქართველთა მთას ნიშნავს, სიმაღლე 3225 მ) გავლით მდ. ურუხის (ამ მდინარეს ირეფსაც უწოდებენ) [გიულდენშტედის მოგზაურობა საქართველოში 1964:63] მარცხენა შენაკად კარაგომ დონის სათავეებში ეშვებოდა [ბერაძე 1975:43;1983:43]⁴. ეს უღელტეხილი უმოკლესი დამაკავშირებელი მარშრუტი იყო ლებსა და დიგორიას შორის [ჩართოლანი 1996:23].სოფ.ჭიორადან სოფ. სტირ-დიგორამდე ამ მანძილის დაფარვას, რომელიც დაახლოებით 45-50 კმ იყო, ორი დღე⁵ უნდებოდა [Перевалы центрального Кавказа 1938: 191].

² როგორც აღნიშნავენ, „ირ“, „დიგორ“, ასევე ჩრდილო კავკასიის სხვა სახელწოდებები იმაზე მიუთითებენ, რომ ოსები არა მარტო დვალეთში, არამედ ჩრდილო კავკასიის სხვა ოსურ რეგიონებშიც მოსულები არიან, რის შემდეგ მათ შიეთისეს არა მარტო დვალთა (თუალთა) ადგილობრივი სახელწოდებები, არამედ დიგორელი და ირანული ტომებისაც [თოფჩიშვილი 2016: 140].

³ ნონარას უწოდებენ ჭიორას მთის ან მყინვარ კარაგომის გადასასვლელსაც.

⁴ ლიტერატურაში მითითებულია გურძიევცეკის სიმაღლეები: 3345, 3346, 3349, 3350 მ [Перевалы центрального Кавказа 1938: 191; მარუაშვილი 1970: 67-68; Чартолани 1989: 21-23; კეკელია 2009: 81]. ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ გურძიევცეკი უმოკლესი დამაკავშირებელი გზა იყო რიონისა და არდონის ხეობებს შორის. აქ ერთგვარი უზუსტობაა გაპარული, რადგან უნდა იყოს ნახსენები მდ. რიონსა და მდ. ურუხის ხეობებს შორის [Чартолани 1989: 21,23]. მდ. არდონი კი უფრო სამხრეთით მდებარეობს, რომლის ზემო ნელზე გადადის მამისონის უღელტეხილი.

⁵ ასევე აღნიშნულია, რომ ამ მანძილის გავლას ერთი დღეს ანდომებდენ [რეხვიამვილი 1977: 16].

ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ გურძიევეცკეის გადასასვლელი მდ. ნონნარულას ხეობით სოფ. ჭიორას აკავშირებდა ოსურ სოფელ დინალასთან.

ლებიდან მეორე გზაც დიგორიაში მიდიოდა. ჩვემოს ხეობის აყოლებით კირტიშოს მყინვარს მიადგებოდი, რომლის გადალახვის შემდეგ ჩადიოდი სტირ-დიგორში. ქართველები ამ უღელტეხილს ლების, ჭანჭახის,⁶ ან კიდევ კირტიშოს (სიმაღლე 3461, 3463 მ) [მარუაშვილი 1970: 9] უწოდებენ. ეს უღელტეხილი მდ. რიონის ზემო წელს მდ. ურუხის აუზთან აკავშირებდა. დიგორიის მოსახლეობისთვის კი ეს გადასასვლელი ცნობილი იყო ლებიევეცკეის (ლების მთის) სახელწოდებით [მარუაშვილი 1970: 9, 67-68; ბერაძე 1983: 43; ქსე 1986: 584; ლები 1998: 13; ნიკოლაიშვილი და სხვ. 2009: 77].

დიგორიაში გადასასვლელ გზებს ვახუშტიც აღწერს: „რიონის სათავეებიდან გადავალს გზა კავკასზედ გლოლას, სადაც არს კავკასიის ძირში, დიდს, დიდს მალალსა კლდესა შინა ქვაბნი გამოკვეთილნი, დიდ-დიდი რიონ და გადავალს გზა ლებს. არამედა ამ გზებზე ზაფხულს ცხენით ვლენან, გარდა ჭირითა დიდითა და თუნიერ ზაფხულისა ვერც ქვეითნი“ [მაკალათია 1987: 12].

ვფიქრობთ, დიგორიაში გადასასვლელ ქართული სახელწოდებების უღელტეხილებს უფრო ადრეული წარმომავლობა უნდა გააჩნდეს ვიდრე ოსურს. ეს უკანასკნელი კი შედარებით მოგვიანო პერიოდში ქართული უღელტეხილების სახელწოდებების ერგვარი განმეორება უნდა იყოს: მაგალითად, ლებიევეცკეი (ლების მთა), გურძიევეცკეი (ქართველთა მთა).

⁶ სახელწოდება ჭანჭახი უკავშირდება პატარა ვაკე ადგილს კირტიშოს მყინვარის ძირას [ბერაძე 1983: 43]. ზოგადად აღნიშნული აქვთ, რომ ლებიდან, გლოლა-ჭიორადან, კირტიშოს, ღრჯამის და ნონარას ბილიკებით რაჭველები დიგორიაში გადადიოდნენ [მაკალათია 1987: 12]. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ უღელტეხილზე გადასულა რუსეთში მიმავალი თეიმურაზ I – 1659 წ და 1724 წელს ლტოლვილი მეფე ვახტანგ VI თავის ამაღლასთან ერთად, ასევე პოეტი ბესიკი [რეხვიაშვილი 1977: 17]. ეს მარშრუტი გამოუყენია ოსეთში გადასასვლელად 1771 წ. ტოტლებენსა [Уварова 1894: 110] და 1772 წ. გიულდენშტედს. მოხსენიებულია, რომ ონში მოდიოდნენ სავაჭროდ დუგორიდან, დვალეთიდან, მალყარეთიდან, სვანეთიდან [გიულდენშტედის მოგზაურობა საქართველოში 1964: 107]. დიგორლებსა და მალყარლების სავაჭრო ურთიერთობაში სვანებთან და რაჭველებთან, განსაკუთრებით ლებისა და ჭიორის მოსახლეობასთან დიდ როლს ასრულებდა პირუტყვით ვაჭრობა [რეხვიაშვილი 1980: 3].

ზემო რაჭიდან ბალყარეთში (მალყარები) მიმავალი გზა ლებში იწყებოდა.⁷ გორიბოლოს მიდამოებში ეს მაგისტრალი ორად იყოფოდა. ერთი მდ. რიონს მიუყვებოდა და ფასის მთის მიდამოებში (იგივე გეზეს, გეზევეცეკის სიმაღლე 3435 მ) არსებული გადასასვლელით ბალყარეთში ხვდებოდი (მდ. ჩერეკის, თუ ჩერეკის ხეობაში) [ბერაძე 1975: 143; 1983: 43-44]. ეს უღელტეხილი მხოლოდ ამ ორი სახელით არის მოხსენიებული. მათი სიმაღლეების აღნიშნა თითქმის ერთმანეთს ემთხვევა 3435, 3450, 3452, 3462 მ [მარუაშვილი 1970: 67-68; კეკელია 2006: 77; ნიკოლაიშვილი და სხვ. 2009: 43].⁸ ლებიდან ზემო ბალყარეთამდე (მდ. ჩეგემის სათავეები) იყო დაახლოებით 40-45 კმ [Перевалы центрального Кавказа 1938: 162].

⁷ რამდენადმე განსხვავებული ვარიანტს გვთავაზობენ ამ გზის შესახებ. კერძოდ, რაჭველი, თუ სხვა ვინმე მალყარში, ყარაჩაიში, ადიღეში, ყაბარდოსა და სვანეთში ამ გზით წასვლას გადაწყვეტდა ლებში უნდა ჩასულიყო, საიდანაც გზა მიუყვებოდა მდ. რიონის სანაპიროს. გორიბოლოს ფასის მთის ძირას, საიდანაც მდ. რიონი იღებს სათავეს, ფასის მთასთან ეს გზა იტოტვებოდა: ერთი მიდიოდა სამხრეთ-დასავლეთით სვანეთისკენ, მეორე ჩრდილო-დასავლეთით მდ. ურუხის ხეობით – დიგორიისკენ, მესამე გზა კი ჩრდილოეთით ჩერეკის ხეობაში მიემართებოდა [რობაქიძე 1962: 18].

⁸ კავკასიის მთავარ ქედზე არსებულ უღელტეხილებს თავისი სიმაღლეების, გადალახვის სირთულეების, ღამისთევისა და სხვა პირობების გათვალისწინებით სამ კატეგორიად ყოფენ: როგორც აღნიშნავენ, I-ა კატეგორიას განეკუთვნება კარგად გადასასვლელი უღელტეხილები (დონგუზ-ორუნი, შარიცეკი, გეზევეცეკი და სხვ.) [Перевалы центрального Кавказа 1938: 4]. დღევანდელ პირობებში ეს არის ტურისტული უღელტეხილები; I-ბ – უღელტეხილები არის უფრო რთული გასავლელი. მათი გადალახვა შეიძლება საჭიროების შემთხვევაში წრიაპისა და სხვა დამზღვევი საშუალებების გამოყენებით (ბეჩო, ტვიბერი გურძიევცეკი და სხვ.) [Перевалы центрального Кавказа 1938: 5]. II კატეგორიის უღელტეხილების გადალახვა მოითხოვს კედლებზე ცოცვას და ასვლის ტექნიკის (წრიაპის გამოყენებით) სპეციალურ ცოდნას (მესტია, ნანერი და ა.შ.). III კატეგორიის უღელტეხილები არის ყველაზე რთული გადასალახავები და მოითხოვს ალპინიზმის კარგ ცოდნას (შხელდა, კარაგომი, შოვი-ციეი, ციეი-კარაგომი) [Перевалы центрального Кавказа 1938: 5]. რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში მოხსენიებული გადასასვლელები: შოვი-ციეი (სიმაღლე 3800 მ), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს რაჭისა და ჩრდილო ოსეთის მაღალმთიან კურორტებს (მანძილი 35-40 კმ); შოვი-კარაგომი (სიმაღლე 3700 მ, მანძილი 50-55 კმ). სამწუხაროდ ჩვენ ვერ დავაზუსტეთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში რომელ უღელტეხილებს შეესაბამება ეს გადასასვლელები. თუ ისინი სხვა დამოუკიდებელი უღელტეხილების აღმნიშვნელი სახელებია. ცხადია, ბრინჯაოს ხანაში ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებთან კავშირურთიერთობისას, ამ სიძნელეების გათვალისწინებით, ყველა უღელტეხილის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა.

სოფ. ლებიდან იწყებოდა ბალყარეთში მიმავალი მეორე გზაც, რომელიც გორიბოლოსთან დასავლეთით უხვევდა, გადალახავდა ვაციწვერის უღელტეხილს დაეშვებოდი ე.წ. ლაფურში. შემდეგ კი მაჩხაფარის უღელტეხილზე გადასვლით, რომელიც მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარჯვენა შენაკად მდ. ზესხოს სათავეებში [ქსე 1983: 397], ბალყარეთში ხვდებოდი (მდ. ჩერეკის სათავეები) [რობაქიძე 1962: 225; ბერაძე 1975: 143; 1983: 44]. როგორც აღნიშნავენ, მაჩხაფარის უღელტეხილი წარმოდგენილია ზამთრის გარეშე, რომელიც წლის ყველა დროს მოსახერხებელი იყო ცხენოსანი ჯარის გავლისთვისაც [ბერაძე, 1975: 65]. სხვა მოსაზრების თანახმად, ფასის მთის (გეზეცეკი) გადასასვლელთან ერთად, მაჩხაფარის (შარიეცეკი) უღელტეხილი ყველაზე მოკლე მოქმედების ვადით გამოირჩეოდა [ნიკოლაიშვილი და სხვ. 2009: 84]. აღნიშნულია, რომ ფასის მთის უღელტეხილზე გამავალ საკომუნიკაციო გზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან ურთიერთობისას. ამ გადასასვლელზე შესაძლებელი იყო პირუტყვის გადაყვანა. აქ მუდამ ხალხმრავლობა იყო.

ეს უღელტეხილი ბალყარლებში ცნობილია შარიეცეკის, შულას, ანდა შდულის სახელწოდებით [ჩართოლანი 1996: 21; გასვიანი 1983: 120; კვიციანი 2000: 53-63], რომლითაც ჩრდილო კავკასიელებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ სოფ. უშგულისა და მდ. ცხენისწყლის ხეობის მოსახლეობასთან. ასევე ზემო რაჭასთან და მისი მეშვეობით კი მდ. რიონის ხეობის დანარჩენ მოსახლეობასთანაც [ჩართოლანი 1996: 23]. მგზავრს აქედან შეეძლო მდ. შტულეს აყოლებით და ამავე სახელწოდების გადასასვლელის გადალახვის შემდეგ მდ. ურუხის სათავეებში ჩასულიყო და დიგორს დაკავშირებოდა [რობაქიძე 1962: 225]. საინტერესოა, რომ ზოგჯერ ერთმანეთისაგან ანსხვავებენ შარიეცეკისა და შტულეს გადასასვლელებს, ანდა მათ ერთი უღელტეხილის სახელით იხსენიებენ [რობაქიძე 1962: 143]. შარიეცეკის სიმაღლეა 3430, 3434, 3350 მ [ჩართოლანი 1996: 21; ბელქანია 2014: 26; კვიციანი 2000; ლუკიანოვიჩი 2015: 81]. მდ. ჩერეკის სათავეებიდან (ზემო ბალყარეთი) სვანეთის სოფ. ცანამდე საუღელტეხილო გზის გავლით მანძილი 30-35 კმ. შეადგენდა, რომლის დაფარვას 2,5-3 დღეს ანდომებდენ.

მამისონი ოსური სიტყვაა, რაც ნიშნავს არასასიამოვნოს, არასახსენებელ სახლს. ძველ ქართულ წყაროებში ეს უღელტეხილი ჭანჭახის სახელითაა ცნობილი [ელარდაშვილი 2006: 197], რაც ნიშნავს ჭაობიან (ჭინჭარობას) ადგილს (არის მთა ჭანჭახიც). მისი სიმაღლეა 2819, 2820, 2829 მ [მარუაშვილი 1970: 67-68; ნიკოლაიშვილი 2009: 77] მართლაც უღელტეხილის მიდამო-

ებში შეინიშნება პატარ-პატარა ჭაობები [ნიკოლაიშვილი და სხვ. 2009: 57]. მამისონი აერთიანებდა რაჭა-იმერეთის გზატკეცილს [მაკალათია 1930: 6], სადაც გადადიოდა ოსეთის სამხედრო გზა. ამ უღელტეხილს, რომელიც მიემართება მდ. არდონის ხეობაში, ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე, ლეონტი მროველი იცნობს ამაზსპასის ეპოქიდან – „გზაი დვალეთისაის“ სახელით [ბერძენიშვილი 1966: 15,25]. როგორც ჩანს, „გზაი დვალეთისაი“ კრებითი სახელწოდებით მოიხსენებოდა და ერთ-ერთში მამისონის უღელტეხილიც უნდა ვიგულისხმოთ. საერთოდ დვალეთში 11 გადასასვლელს ასახელებენ [ჯავახიშვილი 1919: 8; გვრიტიშვილი 1962: 274 ბერძენიშვილი 1966: 15].⁹ აღნიშნავენ,

⁹ დვალეთი ისტორიული მხარე იყო შუასაუკუნეების საქართველოში, რომელიც მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს, დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილებს შორის არსებულ ტერიტორიას [დვალი 2007: 5]. აქ VI საუკუნეში ქართველმა მისიონერებმა გაავრცელეს ქრისტიანული სარწმუნოება. შემდეგ იგი ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა. ძველთაგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა [ჯავახიშვილი 1919: 7]. ეს ტერიტორია იბერიის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა ძვ.წ. IV-III სს-ებიდან (ფარნავაზის პერიოდიდან) მოყოლებული და 1859 წლამდე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო [თოფჩიშვილი 2016: 31]. საქართველოს დაშლის შემდეგ კი დვალეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. დვალეთის შესახებ პირველი ცნობები დაცულია ახ.წ I-II ს-ებში გაიუს პლინიუს სეკუნდუსა (უფროსი) და კლაუდიუს პტოლემეოსის (გეოგრაფია) ნაშრომებში თალების, ვალების, უალს სახელით [ქსე 1978: 490; ითონიშვილი 1992: 75]. მათი აზრით, დვალეთი-ვალები კავკასიის კარის დასავლეთით ცხოვრობდნენ [თოფჩიშვილი 2016: 20-16:29]. დვალეთი ასევე მოხსენიებულია ანონიმი სომეხი გეოგრაფის VII ს-ის ავტორის გეოგრაფიაში დულაკ-ფორმით [თოფჩიშვილი 2016: 28]. კავკასიის ხალხთა ჩამონათვალში საუბარია დიგორლებზე, ხებურებზე (ლებურები), დვალეზე, ჩაჩანებზე, კუდეტებსა და თაკურებზე [გობეჯიშვილი 2017: 41]. დვალეების განსახლების შესახებ პირველნყაროს ნარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი, სადაც დვალეთი რამდენიმე რუკაზეა დატანილი მთავარ კავკასიონის ქედსა და პირიქითულ ქედს შორის [თოფჩიშვილი 2016: 27,65, თანდართული რუკა; ვახუშტი ბაგრატიონი 1997: 10-11,23,25-33]. მათი განსახლების ადგილი იყო ნარი-მამისონის ქვაბული, რომელიც დღეს არის მდ. არდონის ხეობებზე ნოდებული. ვახუშტი ბატონიშვილს (XVII ს) მოხსენიებული აქვს დვალეთის 6 ხევი: კასრის ხევი, ყდელე, ზროგო, ზრემაგა, ზახა, ნარის ქვაბულები-ხევები, ანუ ისტორიული დვალეთი, ბუდე დვალეთისა [ვახუშტი ბაგრატიონი 1997: 313-215; ქართლის ცხოვრება 1973: 645-647; ითონიშვილი 1992: 75-78,84]. საესებით დასაშვებად მიიჩნით დვალთა განსახლების ადგილი ასევე მოიცავდა თრუსოს (თერგის სათავეები) და მალრან დვალეთს – დიდი ლიახვის ხეობის სათავეს, რომელიც მცირე პოლიტიკური ერთეული იყო [თოფჩიშვილი 2016]. თვლიან, რომ მონღოლთა შემოსევის შემდეგ XIII ს-ში დვალეთში სახლდება ოსური მოსახლეობა, რომლებიც თავის მხრივ მასობრივად გადმოდიან კავკასიონის სამხრეთ კალთაზეც [ქსე 3, 1978]. ოსთა მიგრაციას შიდა ქართლში XIII ს (ნ. ბერძენიშვილი, დ. გვრიტიშვილი), XV ს (ვ. გამრეკელი) და XVII ს-ის შუა ხანებიდან თვლიან [Гамрекли 1961: 18; გვრიტიშვილი 1962: 264-277; თოფჩიშვილი 2016: 12,188].

რომ საქართველოდან დვალეთში სამი გადასასვლელი გადადის: ორი რაჭა-კუდაროდან (კაზი-ხოხ, ძედო, ერთი ჯავის რ-დან) [ბერძენიშვილი 1966: 28]. მამისონის უღელტეხილს, რომელიც აღწერა ვახუშტიმ, უწოდებს კედელას [ბერძენიშვილი 1966: 15,28; ქართლის ცხოვრება 1973: 645; რეზვიაშვილი 1977: 14-15]. ადრე ამ უღელტეხილს კასრის კარი უნდა რქმეოდა [გვრიტიშვილი 1962: 274]. დვალეთში მდ. ნონნარას ხეობით ბილიკი მამისონის უღელტეხილის გავლითაც მიემართებოდა, სადაც ლარის ხეობიდანაც დადიოდნენ – ჟღელეს (ბირზონდი ანუ ავეშიდზი) უღელტეხილით [ბერაძე 1972: 180; 1975: 143].

კლაუდიოს პტოლემეაიოსი და გაიუს პლინიუს სეკუნდესი (ახ. წ. I-II ს-ის ავტორები) იხსენიებენ, რომ დვალეები კავკასიის კარის დასავლეთით ცხოვრობენო. სავარაუდოდ კავკასიის კარში, კრებითი მნიშვნელობით მოიხსენიება უღელტეხილები და ერთ-ერთი მამისონიც უნდა ყოფილიყო. აღნიშნავენ, რომ იგი მდებარეობდა სოფ. მამისონის (არსებობს მდ. ურუხის შენაკადი მდ. მამისონ-დონიც) ხეობის ერთ-ერთ შენაკადზე. იქვე მითითებულია მამისონის ხეობის მეორე სახელწოდება ჟღელეც [თოფჩიშვილი 2016: 149], რომელიც მდ. არდონის ხეობაში მდებარე ამავე სახელწოდების, დვალეებით დასახლებულ ხევს უკავშირდება. ჟღელე გეოგრაფიულად მთის რაჭასთან ყველაზე ახლოს მდებარეობდა.

ცენტრალური კავკასიონზე არსებულმა გადასასვლელებმა ცხადია ხელი შეუწყვეს კოლხეთის მთიანეთის მოსახლეობის ურთიერთობას ჩრდილო კავკასიაში მაცხოვრებელ ხალხთან. მაგალითად, რაჭა-დიგორიას მეტალურგიულ კერის თუ კულტურის ჩამოყალიბებას, რომელზედაც შევჩერდებით ქვემოთ.

მთის რაჭის (ბრილის სამაროვნის ადრეული სამარხების მასალების, დაახლოებით ძვ.წ. XV-XIII სს-ები) ურთიერთობაზე ჩრდილო ოსეთის მაღალმთიან, დასავლეთ მხარეში მდებარე დიგორიის ხეობის სამაროვნების (ფასკაუ, ზემო რუთხა, დოგუი ხუნთა, დონიფარსი და ა.შ) პროტოყოზანური ხანის მასალებთან არაერთი მოსაზრება გამოითქვა. მეცნიერთა ნაწილი ამ ორი რეგიონის მასალებს შორის, განსაკუთრებით ბრინჯაოს ინვენტარის მიხედვით, დიდ მსგავსებას ამჩნევენ, თუმცა არ აღნიშნავენ მათ შორის ერთიანი კულტურის, ან მეტალურგიული კერის არსებობას [გობეჯიშვილი 1952: 50-51] გამოყოფილი იქნა დიგორიის კულტურა თავისი გავრცელების არეალებით (ყაბარდო-ბალყარეთის სამხრეთი-აღმოსავლეთი და დასავლეთი რაიონები, მთის რაჭა, ზემო სვანეთი – ა.სკაკოვი) [Крупнов 1951: 17, 1957:

82; 1960: 89-90; Скаков 2003: 91-102; 2004: 188-196], თუ ამ ორი მეტალურგიული რაიონის (კომპლექსის, ჯგუფის) ძეგლები [Ииссен 1951: 81; Марковин 1960: 79; 1994: 275; Мошинский 2013: 221]. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, დიგორიის კულტურა გავრცელებული იყო მხოლოდ დიგორიის ხეობაში, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო ამ რეგიონის ბუნებრივი გეოგრაფიული კარჩაკეტილობით [Мошинский 2008: 262; 2009: 88; 2011: 148-149]. ამის საფუძველზე მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ძვ.წ. II ათასწლეულში დიგორიაში და რაჭაში არსებობდა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი დამოუკიდებელი კულტურა [Мошинский 2009: 90]. ბრილის ადრეული პერიოდის სამარხები და დიგორიის ხეობის სამაროვნების პროტოყობანური პერიოდის მასალები გაერთიანებული იქნა რაჭა-დიგორიის ერთი კულტურის წრეში [Motzenbäcker 1996: 17]. უფრო გვიან ეს ტერმინი გაზიარებული და რამდენადმე დაზუსტებული იქნა იმ განსხვავებით, რომ მასში სვანეთის ჩრდილოეთი რეგიონიც გააერთიანეს [ფანცხავა და სხვ. 2001: 44; ჯიბლაძე და სხვ. 2017: 47]. ვ. კოზენკოვას აზრით, დიგორიის ტიპის ლითონის კომპლექსები მართლაც არის, მაგრამ ის არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით არქეოლოგიურ კულტურას. ამიტომ მას უფრო მართებულად მიაჩნია საუბარი დიგორია-თლია-რაჭის როგორც მეტალურგიისა და ლითონდამუშავების სამკუთხედზე [Козенкова 1996: 127]. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ დიგორი ადრებრინჯაოს დასასრულისათვის და შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისისათვის სამოსასახლოდ ათვისებული უნდა ყოფილიყო სამხრეთ კავკასიიდან მოსული ტომების მიერ, პირველ რიგში სპილენძის მადნის საბადოებისა და ხელსაყრელი საუღელტეხილო გადასასვლლების გამო [Motzenbäcker 1996: 17; ბუხრაშვილი 2004: 8]. ეს შეხედულება არ გაიზიარეს და ჩათვალეს, რომ მიუხედავად ამ ორი რეგიონის აღნიშნული პერიოდის მასალებს შორის არსებული პარალელებისა (ლითონის ინვენტარი, დაკრძალვის წესი და სხვ.), კერამიკული კომპლექსები უნდა მიუთითებდეს ძვ.წ. II ათასწლეულში დიგორიის ხეობის მოსახლეობის ჩრდილო კავკასიურ წარმომავლობაზე [Мошинский 2009: 88].

როგორც ვხედავთ, არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული რაჭა-დიგორიის კულტურის თუ მეტალურგიული კერის გამოყოფაზე და მათი გავრცელების არეალებზე. ვფიქრობთ, ამ ტერმინის უფრო ფართო სპექტრით წარმოდგენის საშუალებას დღეს იძ-

ლევა ისტორიული დვალეთის¹⁰ ტერიტორიაზე (ნარა-მამისონის ქვაბული), მდ. არდონის ზემო წელზე-ადაიდონის სამაროვანზე (ამ ძეგლზე გათხრები მიმდინარეობდა 2006-წლიდან 2009 წლამდე, ხელმძღვანელი ჰ. ჩშიევი) [Чшиев http://www.darial-online.ru/2008_6/chshiev.shtml] მიკვლევული შუაბრინჯაოს დასასრულისა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ტიპური ბრილური ბრინჯაოს ერთი სახის არტეფაქტების აღმოჩენა. როგორც აღნიშნავენ, ადაიდონის სამაროვანზე ზემო რაჭის მასალების პარალელები გაცილებით მეტია, ვიდრე დიგორიაში [Мошинский 2009: 88]. ძეგლზე გამოვლინდა ოთხ იარუსად განლაგებული სამარხები, რომლებიც ქრონოლოგიურად განისაზღვრა ძვ.წ. XIV-XII (I,II იარუსები) და ძვ.წ. XI-VII,V,IV სს-ებით. I,II იარუსებზე განლაგებული იყო ლოდებითა და ფლეთილი ქვებით ამოყვანილი კვადრატული და სწორკუთხა ფორმის (2.30x2.30 და 2.50x1.20/1.40 მ-ზე) კოლექტიური დაკრძალვის სამარხები, სადაც სხვა სახის არტეფაქტებთან ერთად გვხვდება ბრილური ცულების ანალოგიური ატეფაქტები: ფასკაუს 7,8 ტიპის (ს. კორენევსკის მიხედვით 2,17,2,18 ჯგუფი) ბრინჯაოს ცულები [Жореневский 1981: 30, სურ. 8-10-18]. საინტერესოა, რომ ადაიდონის სამაროვანზე ბრილის ადრეული ხანის სამარხების მსგავსად კერამიკული მასალები უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი. ამასთან ერთად ასევე არ დასტურდება ქალის ისეთი სახის სამკაული, რომელიც დიგორიის კულტურისათვის ითვლება ძირითად მარკერად [Мошинский 2009: 88]. როგორც ჩანს, წინაყოფიანი ხანის ეს აღმოჩენა, რომელიც მთლი რიგი კომპონენტების მიხედვით (ბრინჯაოს ინვენტარი, სამარხის ტიპები, დაკრძალვის კოლექტიური ხასიათი და სხვ.) იდენტურია ბრილის სამაროვნის ადრეული კომპლექსების მასალებისა, ერთადერთი არ უნდა იყოს ნარა-მამისონის ქვაბულის ტერიტორიაზე. მომავალში აქ დიდი ალბათობით მოსალოდნელია მსგავი ბრილური ამ ტიპის მასალების გამოვლენა. ამდენად, დვალეთში, მდ. არდონის

¹⁰ დვალეთის ძეგლებიდან ჩვენამდე მოაღწია არდონისა და ფიაგდონის სათავეებში აგებულმა ციხე სიმაგრეებმა – კასრის ხევმა, ხილავამ, ზროგოსა და მამისონის ხეობებში ქრისტიანულმა ტაძრის ნანგრევებმა [დვალი 2007: 61]. იქნებ მისაღები იყოს შემოთავაზებული ტერმინი დიდი დვალეთი, რომელიც მოიცავდა ბუდე დვალეთისაი, მთის რაჭას, მალრან დვალეთს, დიგორს, თრუსოს ხეობასა და შესაძლოა მდ. ჩერექის სათავეებს [გობეჯიშვილი 2017: 41]. თუ დვალეთი მოხსენიებულია I-II სს-ებში მდ. არდონის სათავეებში და აქ გამოვლენილია მათი მატერიალური კულტურის ძეგლები, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი ავტოქტონები იყვნენ ნარა-მამისონის ქვაბულისა. მათი მატერიალური კულტურის ძეგლები უნდა ვეძიოთ აქ უფრო სიღრმეშიც ბრინჯაოს ხანაში.

ზემო ნელზე აღმოჩენილი ადაიდონის სამაროვნის მასალების მიხედვით სავსებით შესაძლებელია გაფართოვდეს ბრილი-დიგორიის კულტურის გავრცელების არეალი.

ვფიქრობთ, ამ საკითხებზე მსჯელობისას ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ბრინჯაოს ხანაში კოლხეთის მთიანეთის, კერძოდ მთის რაჭის სამოსახლოდ ათვისების საკითხები. თვლიან, რომ ბრინჯაოს იარაღებზე მოთხოვნილების გაზრდამ, სპილენძის მადანზე სამუშაოდ ბარიდან კოლხეთის მთიანეთში აიყვანა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. სწორედ ამის შესახებ შენიშნავენ, რომ ამ რეგიონში მოსახლეობის დამკვიდრება უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მეტალურგიის განვითარებასთან. ზემო რაჭის სამთამადნო წარმოების ძეგლები თავისი სამთო გამონამუშევრების მაშტაბურობით, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განფენილ სხვა ამგვარ ობიექტებთან შედარებით, უფრო მძლავრ კერას წარმოადგენდენ, საიდანაც ზოდების სახით უამრავი სპილენძის მადანი (ასევე დარიშხნისა და ანთიმონის ნედლეული) გაედინებოდა კოლხეთის ბარში განლაგებულ ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებში. ასევე ზემო იმერეთის პლატოზე და სხვა ახლომდებარე რეგიონებში. ეს პროცესი ძირითადად ქრონოლოგიურად უნდა მოდიოდეს შუაბრინჯაოს მიწურულსა და გვიანბრინჯაოს ხანაში, რა დროსაც მთის რაჭაში სამთამადნო წარმოების ძეგლებზე დიდი მოცულობითი სამუშაოებია ჩატარებული. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდებში მთის რაჭა საკმაოდ მძლავრად უნდა ყოფილიყო განსახლებული, რაშიც მონაწილეობა უნდა მიეღო კოლხეთის ბარიდან, (ასევე კოლხეთის სხვა რეგიონებსაც) მუდმივად თუ არა, დროებითი სეზონური სამუშაოებისათვის, სპილენძის მადნის დასამუშავებლად მთაში ანაცვლებულ მოსახლეობასაც. ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის ძეგლები მთაში ნაკლებად მოგვეპოვება, უნდა აიხსნას ზემო რაჭის არასაკმარისი შესწავლით. ვფიქრობთ, ამ პროცესებიდან იზოლირებული არ უნდა ყოფილიყო და აქტიური ჩართულობა უნდა ჰქონოდა ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზე განსახლებულ მეზობელ დიგორიის ხეობის მოსახლეობასაც. ამ ორი რეგიონის მოსახლეობას შორის მიმდინარე სავარაუდო ხშირი კონტაქტებისას ალბათ ხდებოდა ურთიერთგამოცდილების გაზიარება, გაცვლა-გამოცვლები, გადასვლა-გადმოსვლები და ერთმანეთთან მშვიდობიანი შერწყმა. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო დიგორიის ხეობისა და მთის რაჭის (ბრილის) მოსახლეობის კონტაქტებისათვის, მეჯოგე მესაქონლეობის (მეცხვარეობის)

განვითარებასთან ერთად ეს უნდა ყოფილიყო მოთხოვნილება სპილენძის, განსაკუთრებით კი ანტიმონის ნედლეულზე. ამ მოსაზრების გამოთქმისას ვითვალისწინებთ დიგორიის ხეობის ზემო რაჭის მხარესთან ტერიტორიულ სიახლოვეს (დახლოვებით ერთი-ორი დღის სავალი გზაზე მდებარეობა), თანხვედრებს მთელი რიგი ელემენტების მიხედვით და ა.შ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დასაშვებად მიგვაჩნია, რომ მთის რაჭიდან დიგორიაში გადანაცვლებულ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, მონაწილეობა მიელო ამ რეგიონის სამოსახლოდ ათვისების საქმეში. შესაძლოა, ამ პროცესების ნაკვალევი კარგად იკვეთებოდეს დიგორიის პროტოკოზანური პერიოდის მატერიალურ კულტურაში, არამარტო ლითონის ინვენტარის, არამედ კერამიკული მასალების მიხედვითაც. ვფიქრობთ, დიგორიის პროტოკოზანური ხანის მოსახლეობა უნდა იყოს ერთგვარი ნაზავი ჩრდილო კავკასიური, კატაკომბური და ამირკავკასიიდან, პირველ რიგში კოლხეთის მთიანეთიდან დიგორიაში გადანაცვლებული მოსახლეობის. ბუნებრივია, აღნიშნულ პრობლემაზე საუბრისას გვერდს ვერ აუვლით დიგორიის კულტურის არეალში ზემო რაჭისა და სვანეთის რეგიონის გარკვეული ნაწილის გაერთიანებას. როგორც დავინახეთ, დიგორიისა და ბრილის მასალებს შორის ძალიან ბევრი ელემენტების მიხედვით შეინიშნება თანხვედრები, რომლებიც შედარებით ეპიზოდურ გამოძახილს პოულობს სვანეთის გარკვეულ მონაკვეთშიც. აქედან გამომდინარე, ვიზიარებთ გამოთქმულ მოსაზრებას, ამ რეგიონების მასალების რაჭა-დიგორიის კულტურის წრეში გაერთიანებაზე და საერთოდ ამ კულტურის არსებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მათი ერთიანი კულტურის გააზრებაზე ერთგვარ დამაბრკოლებელ მიზეზს შესაძლოა წარმოადგენდეს კერამიკული მასალები, რომლებიც ბრილის ე.წ. შუაბრინჯაოს ხანის სამარხეული კომპლექსებიდან თითქმის უცნობია. ასევე ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი ბრილის სამაროვნის ქვედა ფენების (ასევე საერთოდ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის) სინქრონული ნამოსახლარებიც. ამის ძირითად მიზეზად შესაძლოა ჩაითვალოს ისიც, რომ ზემო რაჭაში გ. გობეჯიშვილის მიერ წარმოებული გათხრების შემდეგ ასეთი ხასიათის სამუშაოები თითქმის არ წარმოებულა. ასევე სტაციონალური არქეოლოგიური გათხრებით შეუსწავლელია ქვემო რაჭის ტერიტორიაც. საყურადღებოა, რომ დიგორიაშიც პროტოკოზანურ ხანაში ნამოსახლარები ნაკლებადაა ცნობილი

ამასთან ერთად, დასაშვებად მიგვაჩნია რაჭის (ბრილის) კულტურის შემქმნელად მივიჩნიოთ პირველ რიგში კოლხეთის

ბარიდან, მთისწინა ზოლიდან, ზემო იმერეთის პლატოდან და სხვა ახლომდებარე რეგიონებიდან მთაში გადმონაცვლებული უძველესი მოსახლეობა, რომლებიც აქ მოიყვანა ლითონის საბადოებზე მოთხოვნილების გაზრდამ და მეცხვარეობის განვითარებამ.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ენეოლითური პერიოდიდან დაწყებული, მამისონის უღელტეხილის გამოყენებას ვარაუდობენ სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის რეგიონებს შორის კონტაქტების დამყარებისას. ფიქრობენ, რომ ენეოლითის ხანაში მოქმედებდა უძველესი ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომელიც ჯერ ანატოლიიდან მტკვრის სათავეების გასწვრივ, შემდეგ კი მდ. რიონის გაყოლებით მიემართებოდა და მამისონის უღელტეხილის გავლით სამხრეთ კავკასიას ჩრდილო კავკასიასთან აკავშირებდა [ფიცხელაური, 2012: 68]. აღნიშნავენ, რომ ეს ფაქტი იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ კავკასიაში ენეოლითური ხანის ტიპური წინააზიური ქვის სამაჯურების აღმოჩენების უმრავლესობა სამხრეთიდან (თეთრამინა, დარკვეთი, სამერცხლე კლდე) და ჩრდილოეთიდან (ნაღჩიკი, მეშოკო, სკალა, კამენომოსტკაია, პეშჩერა) სწორედ ებჯინება მამისონის უღელტეხილს [ფიცხელაური, 2012: 68]. ეს გზა ფუნქციონირებდა ბრინჯაოს ხანაშიც.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს დვალეთის ეთნიკური წარმომავლობაზე ადრე არსებული შეხედულებების გადმოცემა. ოსი ავტორები დვალებს თავიდანვე ოსებად განიხილავდნენ [იხილეთ თოფჩიშვილი 2016]. პირველმა ვ. გამრეკელმა უარყო დვალთა ოსობა [გამრეკელი 1949: 109-121].

დვალეთში დასავლურ ქართული კომპონენტის (როგორც სვანურის, ასევე ზანურის) არსებობაზე მიუთითებდა ვ. აბაევი, რომელსაც ამყარებდა ანთროპონომიური და ტოპონომიკური მასალების საფუძველზე. მისი აზრით, მეგრელიზმები მიუთითებენ ოსურ ენაში კარგად მარკილებული ზანური ელემენტების არსებობას [Абаев 1949: 323-330; 1978:45-51; თოფჩიშვილი 2016: 71]. რ. თოფჩიშვილს ეს მოსაზრება არ მიაჩნია მართებულად, რადგან ოსურში ზანური ელემენტების შესვლა უნდა მომხდარიყო მხოლოდ დვალეთიდან, რადგან ირანულენოვანმა ოსებმა ადგილობრივი კავკასიური ეთნოგრაფიული ჯგუფების ასიმილირება მოახდინეს XVI ს-ის შუა ხანებში [თოფჩიშვილი 2016: 72]. იგი უფრო ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ დვალეები სვანებსა და ზანებს შორის ახლოს მდგომი ტომი იყო და საუბრობდნენ დამოუკიდებელ, გადაშენებულ ერთ-ერთ ქართულ ენაზე, რომელიც ყველაზე მეტ სიახლოვეს იჩენს ზანურთან (მეგრულთან) [თოფჩიშვილი 1997: 69].

ჯერ კიდევ ადრე ვ. გამრეკელი მიუთითებდა დვალურში ზანიზმების არსებობაზე [გამრეკელი 1958: 67]. ამ მოსაზრებას დაეთანხმა ჯ. გვასალია [გვასალია 1991]. მისი აღნიშვნით, ამას მხარს უჭერს დვალეთის ისტორიულ ქვეყანაში გავრცელებული გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურის ე.წ. ყობანურის გენეტიკური სიახლოვე კოლხურ კულტურასთან. საეროდ, მისი აზრით, კოლხური და ყობანური კულტურები წარმოადგენდა ერთიანი არქეოლოგიური და ეთნიკური კულტურის განშტოებას. იგი შედეგი იყო გვიანბრინჯაოს ხანაში ჩრდილოეთის ქვეყანაში სამხრეთული ტალღის გავლენის, მათ შორის ამ მიმართულებით ეთნიკური ნაკადის გადანაცვლების [გვასალია 1990; თოფჩიშვილი 2016: 72]. ვ. იოთანაშვილს დვალეები სვანებად მიაჩნდა [იოთანაშვილი 1992: 167].

ზემო რაჭის ტერიტორია დაქსელილია ჩრდილო კავკასიასთან და კოლხეთის სხვა რეგიონებთან სამიმოსვლო გზებით (ტაბ. II, III). რაჭიდან დვალეთში უნდა არსებულიყო გადასავლელები, რომელიც შორეულ წარსულში შესაძლოა მიმოსვლისას და კონტაქტების დამყარებისას გამოყენებაში ყოფილიყო. ერთი ასეთი უნდა ყოფილიყო რაჭა-კუდარო (გადასასვლელი კაზი ხობ, ძედო და ერთიც ჯავის ხეობიდან-კუტახი) [ბერძენიშვილი, 1966: 28]. შიდა ქართლიდან ზემო რაჭაში რამდენიმე გზა შედიოდა. ლიახვის აუზიდან აქ მოსახვედრად ყველაზე მოსახერხებელად თვლიდნენ ჯეჯორის ხეობაში გამავალ გზას [ბერძენიშვილი 1966: 28; გვასალია 1982: 32; გიულდენშტედის მოგზაურობა საქართველოში, 1962: 99-105]. შიდა ქართლს რაჭა ძირითადად კუდაროს მეშვეობითაც უკავშირდებოდა [ბერაძე 1983: 39]. რაჭიდან კუდაროსკენ რამდენიმე ბილიკი მიემართებოდა. ერთი წედისიდან ჩასავალში ჩადის, მეორე ირიდან იწყებოდა, საიდა-ნაც ყვირილას ხეობაში შეიძლებოდა მოხვედრა. ამ მდინარის აუზში შეიძლებოდა მისვლა ლესორის გავლითაც. ვაციწვერას უღელტეხილით კი სვანეთში ხვდებოდნენ. ასევე ეს რეგიონი რაჭის ქედზე გამავალი მრავალი ბილიკებით ზემო იმერეთს უკავშირდებოდა (ზემო მხარე-ოკრიბა, არგვეთა) [ბერაძე, 1983: 40]. მდ. ბარულას ხეობის მოსახლეობა ზემო იმერეთში შქმერიდან ან მრავალძალის გზით მიემართებოდა და ა.შ. [ბერაძე 1975: 144-145]. იქნებ შორეულ წარსულში ამ უმოკლესი საკომუნიკაციო გზებით ხდებოდა სვანეთისა და რაჭის სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან სპილენძისა და დარიშხნის ნედლეული მასალების გადინება ზემო იმერეთის პლატოზე. შესაძლოა ამის ერთგვარი დასტური იყოს სვანეთისა და საჩხერის ყორღანების ადრებრინჯაოს ხანის ყუამილიან-ყუადაქანებული

ცულების, როგორც ტიპოლოგიური მონაცემებით, ასევე ქიმიური შედგენილობის მიხედვით გარკვეული იდენტურობა [ჯიბლაძე 2017]. ყვირილას ზემო წელი, რომელიც შიდა ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული კულტურების (მტკვარ-არაქსული, ბედენური, ასევე შუაბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიის ძეგლების კულტურის წრე – ქვასათალი, ნული, აწყურის სამარხი, წაღვლი) გავლენას განიცდიდა, კოლხური კულტურის დროს მთლიანად მისი რადიაციის ზონაში ექცევა.

Leri Jibladze

The Central Caucassian Mountain Passes (Racha, Balkaria, Dvaleti)

Summary

In the Late Bronze-Early Iron Age, cultural contacts between the populations of the southern and northern slopes of the Central Caucasus (Digoria - the upper reaches of the Urukha River, Balkareti - the upper reaches of the Chereka River, the historical sources of the Dvaleti River - Ardoni) were established across the rivers. communication routes through the passes of the Central Caucasian ridge, where the most convenient of such crossings were: Gurdziewtsek, Gebiewtsek, Pasi mountain (Gezevtsek), Machkhopari (Shariewtsek), Mamisoni (Chanchakhi). Especially close contacts were established between the population of Mountainous Racha (upper reaches of the Urukha River) and Digoria. These routes of communication contributed to the formation of the Brili-Digorian culture or metallurgical center between the mentioned regions at the end of the Middle Bronze Age and at the beginning of the Late Bronze Age, when the upper part of the Balkareti - Chereka River was also considered. Materials from the mentioned period of the Brilli cemetery were also recorded in the upper reaches of the Ardoni River (Aaidoni cemetery).

ლიტერატურა

- ბაგრატიონი ვახუშტი 1997: საქართველოს ატლასი (XVIII ს), თბილისი
- ბელქანია ბ. 2014: საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთი-რაჭის მონაკვეთის გეოგრაფიული კარტომეტრიული ანალიზი. გეომორფოლოგია, კარტოგრაფია, და ლანდშაფტური დაგეგმარება. ნაშრომი გეოგრაფიული მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსპოვებლად, თბილისი (ხელნაწერი)
- ბერაძე თ. 1972: რაჭის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში I, თბილისი გვ. 179-182
- ბერაძე თ. 1975: რაჭა ფეოდალურ ხანაში (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, N5, თბილისი, გვ. 132-152
- ბერაძე თ. 1983: რაჭა, თბილისი
- ბერძენიშვილი ნ. 1966: გზები რუსთაველის ეპოქაში, თბილისი
- ბუხრაშვილი პაატა 2004: ბრინჯაოს ხანის დროშები და ხევისბერის ინსიგნიები ზემო ზგიდიდან (დიგორიდან). კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე ამირანი, X, თბილისი, 7-21
- გამრეკელი ვ. 1949: დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხილველი, თბილისი, 109-121
- გამრეკელი ვ. 1958: დვალეთის ტოპონიმის ანალიზისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. I, თბილისი
- გასვიანი გ. 1983: სვანეთის სამიმოსვლო გზები შუასაუკუნეებში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, IV თბილისი, 116-123
- გვასალია ჯ. 1982: ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბილისი
- გვასალია ჯ. 1990: რას გვიდასტურებს ძველი ქართული სახელწოდებები-კომუნისტი 9/IX
- გვასალია ჯ. 1991: შიდა ქართლი-ეთნიკური გეოგრაფია, ახალგაზრდა ივერიელი 14/V.
- გვრიტიშვილი დ. 1949: დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხილველი, თბილისი, გვ. 109-121

- გვრიტიშვილი დ. 1962: დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIV სს), თბილისი, 264-277
- გიულდენშტედის მოგზაურობა საქართველოში, 1962: ტ. I, თბილისი
- გიულდენშტედის მოგზაურობა საქართველოში 1964: ტ. II, თბილისი
- გობეჯიშვილი გ. 1952: არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი
- გობეჯიშვილი ვ. 2000: ლები, თბილისი
- გობეჯიშვილი ვ. 2017: ჩემი თვალთ დანახული რაჭა, თბილისი
- დვალი ი. 2007: დვალეთი და დვალეები, თბილისი
- ელარდაშვილი ალ. 2006: უნივერსალური ენციკლოპედია, ლექსიკონი, სამ ტომად, გამოყენებულია II-III ტ, თბილისი
- თოფჩიშვილი რ. 1997: საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოგრაფიის საკითხები, თბილისი
- თოფჩიშვილი რ. 2016: დვალეთი და დვალეები, თბილისი
- ინანიშვილი გ; ჯიბლაძე ლ. 2019: კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ისტორიისათვის, თბილისი
- ინგოროყვა პ. 1941: სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვ. მეორე, ტექსტები, თბილისი
- ითონიშვილი ვ. 1992: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიისათვის
- კეკელია ჯ. 2006: საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, თბილისი
- კვიციანი ზ. 2000: საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის საკომუნიკაციო სისტემები (სამიმოსვლო გზები). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, VIII, თბილისი, 53-63
- ლუკიანოვიჩი ქ. 2015: საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელი და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში. გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი. ნაშრომი შესრულებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი
- მარუაშვილი ლ. 1970: საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია ნაწილი მეორე, თბილისი
- მაკალათია ს. 1930: მთის რაჭა, ტფილისი
- მაკალათია ს. 1987: მთის რაჭა, თბილისი
- მეტრეველი რ 2013: რაჭა, შტრიხები წარსულიდან, თბილისი
- მუსხელიშვილი დ. 1980: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბილისი

- ნიკოლაიშვილი დ; თოლორდავა რ; დემეტრაშვილი ოთ. 2009: საქართველოს საზღვრები, თბილისი
- რეხვიაშვილი ს. 1965: საუღელტეხილო გზები და ბილიკები რაჭაში. საქართველოს ბუნება, №4, თბილისი, გვ. 8-9.
- რეხვიაშვილი ს 1977: ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა მეგობრობის ისტორიიდან, თბილისი
- რეხვიაშვილი ს 1980: ქართველ დაჩრდილო კავკასიელ მთიელთა სავაჭრო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი
- რობაქიძე ალ. 1962: სვანური ქალაქოლ-ის საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, № 9, თბილისი, გვ. 217-234
- ქართულ-ოსური ლექსიკონი – Гуырдзиаг-ирон дзырдუам; ოსურ-ქართულ ლექსიკონი ирон Гуырдзиаг-дзырдუам дуам 2012: თბილისი (მთვარი რედაქტორი ნაირა ბეპიევი)
- ქართლის ცხოვრება 1973: ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. IV, თბილისი
- ქსე 1978: 3, თბილისი, გვ. 316,490
- ქსე 1979: 4, თბილისი, გვ. 503
- ქსე 1983 : 6, თბილისი, 383
- ქსე 1986 : 10, თბილისი, გვ. 584
- ღები, გულით სატარებელი 1998: თბილისი
- ჩართოლანი შ. 1996: ძველი სვანეთი, თბილისი
- ფანცხავა ლ, მაისურაძე ბ, გობეჯიშვილი გ. 2001: ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი № 12 სამარხის დათარიღებისათვის, ძიებანი, თბილისი, გვ. 39-48
- ფიცხელაური კ. 2012: სამხრეთ კავკასია, წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა ენეოლით-ბრინჯაოს ხანაში – არქეოლოგიური კულტურათა დინამიკა. საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, თბილისი გვ. 64-88
- ფრუიძე ლ. 1986: რაჭა ეთნოგრაფის თვალთ, თბილისი
- ჯავახიშვილი ივ. 1919: საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით, თბილისი
- ჯავახიშვილი ივ. 1930: საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფილისი
- ჯაფარიძე ო. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ. ჯიბლაძე ლ; დავლიანიძე რ; გობეჯიშვილი გ. 2017: ბრილის ე.წ. შუაბრინჯაოს ხანისა და დიგორიის პროტოკოლანური პერიოდის მასალების ურთიერთიმპარტების საკითხისათვის, თბილისი

- ჯიბლაძე ლ. 2016: კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველად, მეორად კერებსა და გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო გზები (ისტორიულ-გეოგრაფიული, არქეოლოგიური მიმოხილვა). იბეჭდება გორის მუზეუმის მაცნეში №3
- Абаев В. 1949: Менгрелизмы в Осетинском - Осетинский язык и фольклор I, Москва-Ленинград, 323-330
- Абаев В. 1978: Armeno-Ossitica. Вопросы языкознания, 6 Москва, с 45-51
- Гамрекели В. 1961: Двалы и Двалетия I-XV в в до. н.э.
- Иессен А. 1951: Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. МИА №23, Москва-Ленинград, стр. 75-124
- Козенкова В. 1996: Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития Кобанской культуры), Москва
- Корневский С. 1981: Втульчатые топоры, оружие ближнего боя эпохи Средней бронзы. Северный Кавказ и Средняя Азия в древности и Средне-вековье, Москва, стр. 20-41
- Крупнов Е. 1951: Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода МИА №23, М-Л, стр. 17-74
- Крупнов Е. 1957: Древняя история и культура Кабарды, Москва
- Крупнов Е. 1960: Древняя история Северного Кавказа. Москва
- Марковин В. 1960: Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (III тыс. до н.э.), МИА №93, Москва
- Марковин В. 1994: Северо Кавказская культурно-историческая общность. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. Москва, стр. 254-286
- Мошинский А. П. 2008: Протокобанская эпоха на Северном Кавказе: археологические культуры. Отражение цивилизационных процессов в археологических культурах Северного Кавказа и сопредельных территорий, «Крупновское чтения» по археологии Северного Кавказа. Тезисы докладов, Владикавказ, 2008, стр. 261-265
- Мошинский А. П. 2009: Дигорская культура и Дигорско-Рачинский Металлургический очаг. Древность: исторические знание и специфика источника. Материалы международной научной конференции посвященной памяти Эдвина Арвидовича Грантовского и Дмитрия Сергеевича Раевского, вып. IV, Москва, стр. 87-90 58

- Мошинский А.П. 2011: Дигорская культура. Проблемы выделения и хронологии, Древность: исторические знание и специфика источника: Материалы международной научной конференции посвященной памяти Эдвина Арвидовича Грантовского и Дмитрия Сергеевича Раевского, выпуск 12-14 декабря 2011 года , Москва, стр. 148-151
book.ivran.ru/f/drevn_ostistoricheskoeznanieispecifikaistochnikavup4.pdf
- Перевалы центрального Кавказа 1938: Москва
- Скаков А. Ю. 2003: Об одной категории протокобанских украшений, РА 1 Москва стр. 91-102
- Скаков А. Ю. 2004: Протокобанская эпоха на Кавказе. // Кавказ: история, культура, традиции, языки. Материалы международной научной конференции, посвященной 75-летию Абхазского института гуманитарных исследований им. Д. И. Гулиа 28-31 мая 2001 г. Сухум. стр. 188-196
- Техов Б. 1977: Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э. Цхинвали
- Уварова МАК 1894: вып IV, Москва, стр. 105-140
- Чартолани Ш. 1989: К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи. Тбилиси
- Чшиев В. Раскопки Адайдонского Могильника Кобанской культуры в 2006-2007 гг. <http://www.darial-online.ru/2008/6/chshiev.shtml>
- Ingo Motzenbäcker 1996: sammlung Kossnierska, Berlin


ტაბულების აღწერა

- ტაბ. I ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდზე მდებარე ტერიტორიები ერთმანეთთან დამაკავშირებელი უღელტეხილებით (მთის რაჭა, სვანეთი, დვალეთი, დიგორია, ბალყარეთი) [გამოყენებულია *Перевалы центрального Кавказа 1938* არსებული რუკა].
- ტაბ. II მთის რაჭის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზები (სპარტაკ რეხვიაშვილის მიხედვით) [რეხვიაშვილი 1977].
- ტაბ. III მთის რაჭის კოლხეთის ბართან დამაკავშირებელი გზები (სპარტაკ რეხვიაშვილის მიხედვით) [რეხვიაშვილი 1977].



ტაბ. II

გზები შიშის რაჟიდან ჩრდილო კავკასიისაკენ



გზები მთის რაჭიდან საქართველოს ბარისაკენ

